

1924

№ 2-3

# ჩვენს სამსახურს



ს ა ს ე ლ მ ვ ი ბ რ ზ ა მ რ მ ც ე მ ლ რ ბ ა .

## შინაარსი

	38.
1. გაბუტულები, — სურათი . . . . .	1
2. ზამთრის ზღაპარი — ლექსი ს — ელისა . . . . .	2
3. თამროს ოცნება (დასასრული) — გუგა ნარვილისა . . . . .	5
4. პებლები და დედოფლები, — მიმქრალისა . . . . .	17
5. წვეთი წყლის თავგადასავალი, — (თარგმანი) დანისა . . . . .	22
6. საქართველო, — ლექსი სოფო მგელაძისა . . . . .	27
7. გემზე — (თარგმანი) შ. მ-ნისა . . . . .	28
8. ალექსის სიმინდი, — ჭია ტარასისა . . . . .	34
9. გასართობი და ახსნა . . . . .	38

---



წელიწადი მე-XX № 2—3 თემატიკალი და გარტი 1924 წ.

განათლების სახალხო კომისარიატი, სოციალური აღმზრდის მთავარმართყოლის დეპარტამენტი და კომუნალური კონსტრუქციის ექსპერტული მართვის საბჭო.

248



გამყოფი გოგონა.

საქართველოს საბჭოთაო  
კულტურის  
მინისტროს  
თბილისი  
საბჭოთაო  
კულტურის  
მინისტროს



© 1914 წელი

21  
35

# ზ

## ზამთრის ზღაპარი.

ამთარია... ქარი ჰქრის  
თოვლი თეთრ ფურცლებსა ჰქრის.

\* \* \*

სეზე ჩიტო, ჩიორა  
ზის, — ვერ ვნახებ სავარსა,  
— იუო, არა იუო-რა... —  
ამბობს თბილ ზღაპარსა.  
იუო გაზაფხული, და...  
ჩვენს სიამით ვსარობდით;  
ნეტარობით ვვლიდა  
ჩვენს ბედს, — მიტომ ვუვარობდით...



მზე გვათობდა, და ბუდე  
ვიკეთებდით ხეებზე;  
და მწვანე ფოთოლთ ზღუდე  
ვამღერებდით დღეებზე.

საკენკად გვექონდა ბევრი  
უვაილები და ხილი,  
გვიჟვარდა ტყეა ტყერი  
და ძალაღ მთის გრესილი!

ქვილით ვფრენდით ველებს,  
ვფენდით სიცოცხლეს ნეტარს;  
ვევლოდით ვარდის ველებს  
და ვსვამდით უკვდავ ნექტარს!..

თუ გაზაფხულზე ბაღით  
ზირებს ვიტკბანურებდით,—  
ზაფხულში ბროლ სორბაღით  
ზაწია კუჭს ვივსებდით!..

შემოდგომაზე უურმენს  
ვევლოდით აღმაფრენით,  
და ვწოვდით საუვაბრელ წვეს—  
სიხარულს ვფენდით სტვენით!..

ახლა დადგა ზამთარი,—  
ვინ იცის, რა მოგველის?!  
მაგრამ იმედი არი  
ბავშვებისაგან შველის!..

ზატარა ნამცეცებით  
გადაგვარჩენენ შიმშილს,  
და გზად არ დაგვეცემით,—  
ავცდებით სახარ სიკვდილს!..

მეილნი უკდებდენ უურს და —  
 შესცინოდენ მშობელსა;  
 ქარი თითქოს დაუურსდა, —  
 გაელიძა სოფელსა!..

ცას ღრუბლები აესა,  
 და იცინის მნათი მზე;  
 შვება ევლსე აესვა, —  
 იწვევს ვეელას ნადიმსე!


ეს იყო ზღაპარი, და  
 მალე იქნება შვება;  
 წითელი ლამპარიდან  
 სინათლე ძირს ეშვება!..

გაზაფხული მოიძღვრს —  
 სალამურს უკრავს რუხე;  
 სინარულის ქნარი ქღერს  
 იებით, ცა-ფირუსზე!..

\* \* \*

ჟერ კი ზამთრის ქარი ჭქრის  
 და თოვლის თეთრ ფურცელთ ჭქრის...

ს — ლი.





## თამროს ოცნება

(სურათი ძველი ცხოვრებიდან)

(დაახას...)

რ

ოდესაც თამრო თავიანთ ქოხში მივიდა. მამა შინ დაუსვდა. გიორგი ცეცხლის ჰირას იწვდა დაღრუჯით და წამდაუწუმ იძმორებოდა.

— მამილო, გენაცვალე, ქალაქში უნდა წასვიდე სვალ, არა? — მიჭვარდა მამას.

— წავალ, მამა, შეილო, წავალ!.. აი ცოტა უგუნებოთა ვარ; დღეს... კამიელის და სვალ ან სვალსვევით წავალ. რომ არ წავიდე, მძივრები დავიხოცებით... — ნაღვლიანად უპასუსა გიორგიმ და სელი მოჭხვია თავის საეუარელ გოგონას

— მამილო, ქალაქში ერთ ფიგურას ვერ მივიდი?.. — სვეწნით შეჭდაღადა თამრომ.

— რა ფიგურას, შეილო! კუკნა ხომ გეავს? — ალერსიანად ჩავეითს, გიორგი და სველებს აუტედა.

სველებს რომ დაუდგა, თამრომ უამბო ვველაფერი, რაც კი მათამ უთხრა და ახვენა და კიდეკ შეესვინა:

— მამილო, უსათუოდ მომიეუანე ფიგურა — უსათუოდ!.. მომიეუან?..

— კარგი, ჩემო კვრიტო, მოგიეუან! უსათუოდ მოგიეუან. ისეთი ფიგურა მოგიეუანო, რომ სულ თვალები აუჭრულდეს იმ შენ მათას... დაიცა, ჯერ წავიდე ქალაქში... — ასე დაჭხირდა გიორგი თამროს და ამ უკანასკნელსაც ამ

დაპირებსთან ერთად სულ თვალები უწინწკლდებოდა სინათლისაკან.



ამ დღეს გიორგა სულ სახლში იყო; სისუსტის გამო სამუშაოდ ვერ წავიდა და თამროც სულ „ფიგურაზე“ ელაპარაკებოდა. მის ოცნების წინაშე უკვე გარკვევით იდგა დიდი, მაიას ფიგურაზე გაცილებით

დიდი, მშვენიერი, თმასუფუჭა ფიგურა — დედოფალი, რომელიც თითქოს უკვე ხელში ეჭირა და ელფრსებოდა. იგი სედავდა, თურგორის მურით უცქვრიან მას მაია და თებრუბა.

ასეთ ოცნებაში წასული თამრო გაბტყვებით იდიებოდა და სულ ელოდებოდა იმ დღეს, თუ მაია როდის წავიდოდა ქალაქში და როდის მოუტანდა სანატრელს და საოცნებო ნივთს.

გიორგა, როგორც აპირებდა ქალაქში წასვლას სამუშაოდ, ვერ წავიდა, რადგანაც ლოგინად ჩავარდა, სულ ახველებდა, გულს იტკივებდა და გამოუნელებელი სიცხე ჰქონდა. სულ ბორცავდა და ჰბოდავდა.

საწუალი დიდება, დარდიანი, გაოგნებული, თავს დასტრიალებდა ოჯახის ერთადერთ მარჩენელს და, რითაც შეძლო და რაც იცოდა, მინაურ წამლებს არ აკლებდა.

როდესაც გიორგა ცოტას ჩასთვლემდა და დაძმვიდებოდა, იგი მოწვენილი, გადიდებული თვალებით მოუჯდებო-

და ხოლმე თავით და შეძინებული უურადლებით ისმენდა ავად-  
მყოფის აჩქარებულ სუნთქვას...

თაძრო კი, როდესაც გიორგი თვალს გაახელდა და ლა-  
პარაკს იწეებდა, სულ იმას ეხვეწებოდა მამას, ქალაქში რომ  
წახვალ, ჩემთვის „ფიგურის“ მოტანა არ დაგავინუდესო.  
გიორგიც ჰპირდებოდა, ნაღვლიანად იღიმებოდა და ალერ-  
სიანად და სიუვარულით უუარებდა თაძროს სიცხისაგან  
მიმქრალი თვალებით.

გავიდა რაბდენიძე დღე... გიორგი სულ ცუდად და ცუ-  
დად ხდებოდა.

დიდუდამ აღარ იცოდა რა ექნა.. ძთელ ღამეებს უძი-  
ლოდ ათევდა და ხუმად ტიროდა...

— დიდუდო, რათა კუნესის ვერე მამა? . ქალაქში აღარ  
წავა?—ჩურჩულით და მოკრძალებით ჰკითხავდა ხოლმე  
თაძრო დიდუდას.

— მამა ცოტა ცუდად არის კანცვალე და ძაღე  
ადგება; ნუ გეძინიან, ქალაქშიაც წავა და დანაპირებსაც  
მოვიტანს,—უტოდა ხოლმე დიდუდა და ჰირს მიიბრუ-  
ნებდა, რომ თაძროს მისი ცრემლიანი თვალები არ დაენახა.

თაძროც მშვიდდებოდა და კუთხეში თამაშობდა.

გავიდა კიდევ ორი დღე...

საღამო იყო. ძალიან ციოდა... გიორგი შეტანს-შეტად  
მისუსტებული იწვა და განძრევის თავი აღარა ჰქონდა... იგი  
მძიმედა ქმინავდა. დიდუდამ ჭრაქი ახნთო და რადგანაც შეშა  
აღარა ჰქონდათ, ნაფოტების მოსაკრეფად წახვლა დააპირა,  
გიორგასთან კი თაძრო დასტოვა და დაუბარა, კარგად  
უკლე უური მამაძენს, თვალი არ მოაშროო, მეც ახლავე  
მოვადლო.

დიდუდა წავიდა... თაძრო სუკდიანად ჩამოჯდა ტახტის  
პირზე და მამის გაფითრებულ, გამხდარ სახეს დაუწყო უ-  
რება დიდრონი, დანაღვლიანებული, ვისუფრი თვალებით..

გიორგა უძრავად იწვა, სიცხისაგან ლოყები მკრთალად წამოსწითლებოდა და ტუჩებს უცნაურად აცმაცუნებდა. კარგა ხანს სინუძე იყო.

ჭრაქის მბრძოლვარე ალი ნელა ჰკრთებოდა და მკრთალა სხივებით ძლივს ანათებდა ქოხს.

უცებ გიორგამ წამოიწია და იდაყვზე დაურდნობილმა ჩურჩული დაიწყო.

— რა გინდა, მამა?—მუძინებით დაეკითხა თამრო და ტანტიდან ჩამოვიდა.

— მოვდივარ... მოვდივარ...—ამოკვანესით ამოიხრიალა გიორგამ და თვალები გადაატრიალა.

— სად მიდისარ, მამა?... გულგახეთქით წამოიფვირო თამრომ, მივარდა გიორგას და ხვეწნა დაუწყო.

ბავშვის ცივი ხელების შეხებით გიორგა თითქოს გამოფხიზლდა, დინჯად გადმოჰხედა თამროს და ისევ ლოკინზე დაეცა...

— სად მიდისარ, მამა?—კიდევ დაეკითხა გოგონა.

— მე... ცაში მივდივარ... დედასთან... მშვიდობით... ჩურჩულით ძლივს წარმოასთქვა გიორგამ.

თამროს ტირილი აუვარდა და უფრო მაკრად მოეხვია მამას.

— ქალაქში აღარ წახვალ, მამა?...—ამოხვრით და ფრთხილად ჰკითხა თამრომ.

— არ ვიცო...—წაიხურჩულა კვლავ გიორგამ და კიდევ წამოიწია.

თამრო უფრო მაკრად მოეხვია მამას, თითქოს არ უნდა გაუმვას ცაშიო, მაკრამ გიორგას უკვე აღარაფერი ესმოდა.

გიორგა უკვე საში დღის დასაფლავებელი იყო. ძალაზე თოვდა... ისე თოვდა, რომ მოკლე ხანში თითქმის მუს-

ღებამდე თოვლი დასდო. საღამოვღებოდა... ქარი მძლავრი ამოსუნთქვით უბერავდა და ფიფქი თოვლის კორიანტელს აუენებდა. სამინული ქარბუქი იყო. ირგვლივ არაფერი ხნანდა...

ჩვენს ნაცნობ ქოსში, ბუხრის წინ, რომელშიაც სველი შემის ნაფორტი ბოლავდა და საცოდავად წრინინებდა, დიდუდა და მისი შვილიშვილი თამრო და ისხდენ.

სინუბე იყო... მხოლოდ ქარი ზუზუნებდა სასარლად.

დიდუდა უფრო მოკუნტულიყო; დარდისაკან დაღმანტულ და დანაოჭებულ სახეზე გამოუთქმელი შიში და მწუსარება ეხატებოდა. თვალეზე ცრემლები არ ჭმრებოდა და გამტერებული, გარინდებული იყო. თამროც გამხდარიყო და მოწვენილი, შემფოთებული სახით შეჭურებდა დიდუდას ცრემლიან თვალეზეს...

— დიდუდა, რაღათა სტირი... შენ თვითონ არა თქვი, მამა რომ ცაში წავიდა, კარკიაო... იქ ის დიდ ბაღში იქნებო... ესე არა თქვი?.. — წაილაპარაკა ბოლოს თამრომ და დიდუდას მიეუდა მხარზე.

— იცი, რა შითხარი, დიდუდა!.. — განაგრძო ცოტა ფიქრის შემდეგ თამრომ, მამა ცაში ფიგურას ვერ მივიღის?.. თუკი ქალაქში ივიდდა, განა ცაში კი არ იქნება ფიგურები?..

— კივიდის... მამ... უეჭველად კივიდის... ნაღვლიანად წაიბუტბუტა დიდუდამ და როგორც იყო თვალგამტერებული, ისევე დარჩა. ეტუობოდა, სულ სხვა ფიქრებში იყო კართული.

— მალე მომიტანს?.. — მხიარულად დაეკითხა თამრო.

— არ ვიცი... — ისევე ისე ცივად უპასუხა დიდუდამ.

ხანგრძლივი სინუბე ჩამოვარდა... თამროს ისე; მოწვენილობა და მწუსარება დაეტო.

— დიდუდო, მე მამასთან მინდა... მე მინდა მამასთან წავიდე... ხმის კანკალით და მუდარებით წაიხურწულა თამრომ და მძიძვედ ამოიოხრა...

— რა ვქნა, გენაცვალე მამა ცაშია და როგორ წახვალ იმასთან,—შეკავებული ტირილით წარმოსთქვა დედებერმა და ათრთოლებული, აკანკალებული ხელებით მიიხიდა თამრო თავისკენ.

— გენაცვალე, შვილო...—წამოილულულა ბებერმა და ქვითინი ძლივს შეიმაგრა... ეტეობოდა, შვილი შვილთან ტირილს ერიდებოდა.

— რატომ ვერ წახვალ, დიდუდო... თუ კი მამა წავიდა? მეც ისე წახვალ... მამა ხომ კაცებმა დაწვენილი კაიუვანეს აქედან, ხომ გახსოვს... შერე ხედ წაიუვანეს—ჭაა დიდუდო?... ცაში, არა, მამ? ჰო და, როგორც ისინი ავიდენ ცაში, მეც ისე ავალ... როგორ ავიდენ—ჭაა, დიდუდო... კიბე არი ხადმე, ცაში ასასვლელი?..—ნადვლიანად ტიკტიკებდა თამრო და თან თვალს არ ამორებდა მთრთოლვარე დედაბერს.

— ჰო, გენაცვალე, კიბე არის ცაში ასასვლელი... დიდი კიბე... განათებული, გახვივოსნებული ოქროს კიბე... უცნაურის გამტერებით წარმოსთქვა დიდუდამ და თვალეებზე ხელები მიიფარა.

— ხად არის ის ოქროს კიბე, დიდუდო?—გაბრწინებული თვალეებით ჩაჰკითხა თამრო.

— შორს არი... ძლიერ შორს... აი, იქით რომ დაბურული ტევა... იქ არი...—ხმის კანკალით წამოიბურტბურტა დიდუდამ და ქვითინი ველარ შეიმაგრა... კარკა ხანს ტიროდა დედაბერი.

— რათა ტირი, დიდუდო?—მწეხარედ დაჰკითხა თვალეზე ცრემლმორეული თამრო;—მამა რომ წავიდა?

— ჰო, გენაცვალე;— იმიტომ ვტირი!..

— შენ ხომ თქვი, რომ ისევ მოვა და ფიგურასაც მოგიტანსო!

დიდუდას კიდევ უფრო აუვარდა ტირილი.

თვალცრემლიანი თამრო ნაღვლიანად შესცქეროდა დიდუდას და საუბრით ვერ გაეგო მისი მწუსარება...

კარგა ხანს სინუძე ნამოვარდა, რომელსაც მხოლოდ ქარის სუსუნი, დიდუდას ჩუმი ტირილი და ნაფოტის წრინი აზღვევდა... ბოლოს თამრომ თავი მადლა აიღო და ხელა წარმოსთქვა:

— ჰური მძიან, დიდუღო, ჰური არა გვაქვს?..

— აღარც ჰური გვაქვს და აღარც კართოფილი... მწუსარედ ამოიკენესა დიდუდამ, — რაღა უნდა ვქნათ!... რაღა გვეძველება... მწარედ ქვითინებდა დუდაბერი...

თამრომაც ტირილი დაიწყო.

— მცირა, დიდუღო... მამასთან მინდა.. მე მამასთან უნდა წავიდე... წავალ, იმ კიბეს ვიპოვნე და მამასთან ავალ... შენთან აღარ მინდა— შენ სულ სტირი... აღარც ჰურს მაჭმევს!..— ტირილით წაიღუღლუდა თამრომ და კარებისაკენ გაბრუნდა.

— სად მიდისარ, კოგო! წამოიყვირა დიდუდამ, წამოვარდა ზესე და თამროს მივარდა;— შენი დარდი და მაკლია სწორედ... ისევ დარდისა და ბოღმისაგან გული მაქვს შეჭმული; მოდი, დაწეი ლოგინში— გათბეი... დაიძინე და მიმძილიც გადაგავიწულება. ხვალ კი წავალ, სადაც იქნება ჰურს ვითხოვ და მოგიტან. აი, აღარც ვიტირებ... მოდი, გენაცვალე, მოდი!— მიუაღერსა მოხუცმა.

— მამასთან მინდა!— დაიწყო ტირილი თამრომ და ცდილობდა დიდუდას ხელიდან გამოსხლტომოდა... ბევრი აღერსისა და ხვეწნის შემდეგ— დიდუდამ როგორც იყო დააწინა

თამრო ლოკინში და თვითონაც კაიძალა. დიდუღაც დაწვა... დაწვა და იმ წამსვე მიემინა საწვალ დედაბურს, რადგანაც ჭეტის-მეტად იყო დასუსტებული ტირილით, მწუსარებით და მიძძალით.

თამროს კი არ ეძინა.

სულ იმაზე ფიქრობდა, რომ მამა ვინ იცის როდის ჩამოვა ციდან და მოდი მე თვითონ წავალ მამასთანაო. ბოლოს გადასწევითა, აძალაძვე გაქნარდა დიდუღაცს და წასულიყო შორეულ ტყეში იმ ოქროს კიბის საძებნელად, რომლითაც მამასთან ავიდოდა.



თამრო ასეც მოიქცა. დიდუღაც მალე სუსტი სურინვა ამოუშვა, ძილში მიძმედ ოსრავდა და რაღაცას ბუტბუტებდა. ცეცხლი ჩამქრალიყო და მხოლოდ ერთ ალაგას და იღველფებოდა ნაცრით დაფარული ჰატარა ნადუერდალი.

თამრომ ნელა წამოიწია, დიდუღაც გადასედა და რომ და-

რწმუნდა სძინავსო, ნელა გადმოხტა ტასტიდან, კარებთან მივიდა და ისევ დიდუღაცს მიჰხედა...



— დიდუღო, ჰე მამას ვნახავ და ისევე მალე მოვალ!... —  
ჩუმიად წაიწურულა მან, კარები ნუა გახლო და ქოხიდან  
გავიდა.

—

ისე კი აღარა, მაგრამ მაინც კიდევ თოვდა. უველა-  
ფერი თეთრად მოჩანდა. დათოვლილ სოფელს მუუდროდ  
ემინა... თამაროს სიცივით ტანში გააქრიალა, ხელებსე დაი-  
ორთქლა და ერთ წამს შესდგა... ფესმძიველა იყო და ცივი  
თოვლი ისე მოჭხვდა ნათბილარავ კანს, როგორც ცეცხლი...

ერთხანს უკანვე დააპირა კაბორუნება, მაგრამ მოაგონდა,  
რომ დიდუღა მთელი დღეობით ტირის, — მამა ცაში რად  
წავიდაო, უურადღებს ადარ აქცევს მას, ადარც უაღერსებს,  
ადარც ჰურს აჭმევს — და შეფიქრიანდა.

ბოლოს ისიც მოაგონდა, რომ მამას კერ დააბარა ცა-  
ში წასვლის დროს — „ფიგურა“ მომიტანეო და ამ უკანა-  
სკენელმა მოსასრებაჲ წინ ნაბიჯი გადაადგმევინა.

თამარო ჩაფიქრებით გზას გაუდგა და იქითკენ გასწია,  
საითკენაც ის მორეული, დიდი ტუე ეკულებოდა. მიშველი  
ფიქრებით თოვლს ძლივს-ძლივობით მიაზღვევდა და ისედაც  
სუსტი გოგონა, დაღლილობისაგან დასუსტებული, ძლივს  
და სუნთქავდა. მაგრამ მცირე მანძილის გავლის შემდეგ ისე  
გახურდა, რომ სიცივეს თითქმის ვეღარც კი გრძნობდა.

უცებ ქარმა უფრო დაუბერა და თოვლი უფრო მძლავრად  
და მსხვილად წამოვიდა მალედიდან. ისე სქლად წამობარდნა,  
რომ კაცს ეგონებოდა — ცა თოვლად ჩამოქცევას აპირებსო.

თამარომ აღარ იცოდა საით წასულიყო, სულ ველარა-  
ფერსა ხედავდა. ქარი შივ სასემი თოვლს აეროდა და სულს  
უკუბებდა. თამარომ თვალებსე ხელები მიიფარა და შემო-

ნებული ადგილიდან ვეღარ იძუროდა... ბოლოს უკან დაბრუნება გადასწყვიტა, მაგრამ როდესაც მოტრიალდა, ქარმა ძლიერად დაუბოია ზურგში; დაღლაღ-დაქანცული, შიშისაგან გაოკნებული გოგონა მოუძღურებული დაეცა თოვლზე... დაეცა და რაღაც კარინდებში წაგადა... უცნაურ ბურანში გაეხვია... თითქოს დაქინა და ვეღარაფერსა გრძობდა... მაგრამ არა, — გრძობს, რომ ფეხები მალიანა სტკივა სიცივისაგან და იტანჯება, უნდა რომ იტიროს, მაგრამ აი... ახლა აღარც ფეხებზე სტკივა... რაღაც სასიამოვნო ბურანში ცურაობს თამრო... ცხელა კიდევ... აი, ელანდება, რომ ახლა საფხულია და მწვანე მინდორზე მიდის იმ დიდ ტეეში, სადაც ოქროს კიბეა... აგერ ის დიდი ტეეც... ფოთლები რაღაცას ხურჩულობენ იღუმალის შრიაღით და თამროს თავისკენ ეძახიან...

თამრო ღიმილით შედის ტეეში და აღარ იცის საით წავიდეს... აგერ პატარა ჩიტი, რომელიც მხიარულად ჭიჭიკობს ტოტზე... ის თითქოს ესაღმება თამროს და რაღასაც უამბობს...

— მოდი ამ ჩიტსა ვკითხავ, ფიქრობს თამრო და ვკითხება:

— ჩიტუნავ, სომ არ იცი სად არის აქ ოქროს კიბე? მე მაძახთან უნდა ავიდე ცაში... ის მე ფიგურას მომიტანს და, თუ გინდა, ჩემს ნაკუწების კუნს კიდევ შენ გაჩუქებ...

ჩიტუნას თითქოს უხარიან... ის უფრო მხიარულად ჭიჭიკობს და თავს უკრავს...

— ვიცი, ვიცი, წამო... წამო... ეპატეება ჩიტუნა და ვეღარ ისვენებს... სულ ხტის, ისე სასაცილოდ ხტის, რომ თამრო სიცილს ვეღარ იმაგრებს და კისკისით მისდევს ჩიტუნას ჩაბნელებულ ტეის სიღრმეში...

აგერ ის დიდი ოქროს კიბეც.. ღმერთო, რა გაბრწყინ-  
 ვებულა... თამროს უნდა რომ ავიდეს, მაგრამ ზევიდან  
 უცებ დიდი სინათლე გამოჩნდება... შორიდან უცნაური, მაგ-  
 რამ შეტის-შეტად ნაზი და სვედიანი გალობა ისმის... აგერ  
 მამაც.. მამა მოდის კიბის წვერიდან და ხელში დიდი ფი-  
 გურა უჭირავს.. რა კარგია ახლა მამა... რა ნაზი და მო-  
 სიუვარულე ღიმილით მოდის თამროსკენ.. აგერ მოუახლოვ-  
 და და ნელა ჰკოცნის შუბლზე მოლიმარი ტუჩებით და  
 „ფიგურას“ აძლევს. თამრო მორცხვად იღიმება, გულში  
 იხუტებს დიდ, ძვირფას დედოფალას და სინარულინსაგან არც  
 კი სჯერა თავისი ბედნიერება... დიდხანს სტკბება გოგონა  
 თავისი ბედნიერებით და როცა ძაღლა იხედება, აღარც მამა

სჩანს და აღარც ოქროს  
 კიბე... ახლა სულ სხვა  
 სურათი იძლევა მის  
 თვალწინ...



თავიანთ ქონის ეზო-  
 ში თამაშობს თავისი  
 დიდი კუქნით... ღობეს-  
 თან კი მათა და თებრუა  
 დგანან და შურიტ იუუ-  
 რებიან მისკენ... — რა  
 დიდი ფიგურა ჰქავს  
 თამროს— დვარძლიანად  
 ეჩურჩულება მათა თე-  
 ბრუას...

— ახ!.. ნეტავი ჩვენ-  
 ცა გვეაფდეს ეგეთი... —

ბუზღუნებს თებრუა და დაკოსით გამოაჭეურებს თამროს...

თამროს კი ეს უკვლავფერი ესმის, იღიმება და ეშმაკურად  
 კისკისებს...



უცებ ვეკლავფერი ხირია... ვეკლავფერმა ტრიალი დაიწყო... მაია... თებრუა, „ფიგურა“, დიდება... მაია... ოქროს კიბე... და ის სასაცილო მოჭიკჭიკე სიტუნია ირვეიან, ტრიალებენ და მორცხვად თავს უკრავენ თამროს... თამროს თავბრუ ესმის, ცუდათა გრძნობს თავს. . იგი „ფიგურას“ მაგრად იხუტავს! გულში და შემდეგ ვეკლავფერი ჰქრება... ვეკლავფერსა გრძნობს...

ცა კი უფრო და უფრო უმატებდა თოვას...

ეს წამთარი ძალიან თოვლიანი იყო, ისე რომ გაზაფხულამდე თოვლი არ დამდნარა და დედაძინა არ გამოჩენილა.

დიდხანს ეძება გამწარესულმა დიდებამ თოვლში, და სიცვიში თავის შეილიძვილი, მაგრამ ვერ იპოვა.

ერთ თავს კიდევ იცოცხლა უბედურმა და შემდეგ ისიც გარდაიცვალა თავის მიწურ ქოხში.

დაცბრიელდა ეს ზატარა ქოხი... უცნაურის დაღვრებით და სევდით მოცული გამოიყურება იგი სოფლის სანაპიროდან... მის ფანჯარაში აღარა კრთის მღვრიე, მბეჭუტავი ციცინათელა... ეღარც ცეცხლი ანთია ბუხარში... მხოლოდ ქარი და სისინებ; და გაბრაზებით უსტვენს მაწურ კედლების ჭუჭრუტანებში.

თამროს გვაში მხოლოდ გაზაფხულზე იპოვეს, როდესაც თოვლმა დნობა დაიწყო... საბრალო გოგონა ქოხის ცოტა მოშორებით გათამილიყო...

გუგა ნარვილი.





## პეპლები და დედოფლები

(ზღაპარი).

8

ამთრის დღე იყო... გარედ თოვდა.

ბაბუა ცეცხლთან იჯდა და თუთუნს აბო-  
ლედბა. ბუსრის მეორე მხარეს, გივის პატარა  
ბაღლი, უკანა ფეხებზე დასკუპებული ბაბუას  
უცქეროდა. თინა დაკეტილ ფანჯრიდან უმხერდა უფროს ძმებს  
კიკასა და სიკოს. ისინი მუხობლის ბაგუმბთან ერთად გარედ  
თოვლში გუნდაობდნენ.

— ბაბუ, ბაბუ! — სიხარულით წამოიძახა თინამ, — ნახე  
რა კარგია თოვლის ფარვანები! უი, როგორ ცეკ ავენ... ჩემ-  
სკენ მოფრინავენ... ჰო, ბაბუა, ღამაშია ეს თეთრი ქუდები.  
შეხედე, სეებმაც თეთრი კაბა ჩაიცვეს. ესოც კაღაშაშდა. ვველ-  
გან სითეთრე... — ჰო, ვველგან სითეთრე, — გაიმეორა თი-  
ნამ, — ა, თოვლი, აქ ბაბუას წვერები... — და გადიკისკისა.

ამ დროს ოთახში შემოვიდნენ გივი და სიკო, მათ თოვლით გაფუძელული, ხელებდაწითლებული მეზობლის ბავშვებიც შემოჭვევნი, ცეცხლს მიაბურეს, გათბენ და იქვე ჩამოსხდნენ.

— ბაბუა!—დაიძახა სიკომ,—ჩვენ დავიდალეთ, ახლა ზღაპარი გვინდა. ბაბუამ ჩიბუსი გამობერტვა.

— რომელი ზღაპარი გინდათ?

— ციკანი, — დაიძახა სიკომ.

— კურდღელი, — სთქვა მეორემ

— ბაბუა!— ზეპლები და ტუის დედოფლები, — წამოიტიტინა ბოლოს თინამ.

— ზეპლები და ტუის დედოფლები? ჭო, კარგი, — სთქვა ბაბუამ და დაიწყო:

— იყო და არა იყო რა. იყო ერთი კაცი. ბევრი შვილები ჰქავდა. ზოგს წულები არ ჰქონდა, ზოგს კაბა, ზოგს ზერანგი. დადგა სამთარი. ბავშვები მოკროვდნენ ცეცხლის პირას, მონახეს მუელი წინდები, ქალამნები, მთაგორეს, ჩაიცვეს და წავიდნენ თოვლში საბურთაოდ. დარჩა კიკა და სარა. იმათ არ ჰქონდათ ფეხსაცმელები. დასხდნენ ცეცხლის პირას და დაიწეს სიმღერა:

თოვლო, თოვლო, თუთრ თვალებო,  
მამამ შემოვითვალო,  
სცივა კიკას, სცივა სარას,  
გაკვეცალო, წადი ჩქარა.  
გაიღვიძებს გასაფხული,  
გაიხარებს ჩვენი გული.

თოვლმა გაიკონა კიკას და სარას თხოვნა, დალულა თვალები, გაწეულა და გაქრა.

გამობრწყინდა გასაფხული.

კიკამ და სარამ ჩაიცვეს ჭრელ-ჭრელი ზერანგები და მინდორში ზეპლების დასაჭერად გაიქცნენ.

— აგერ უვითელფრთება!—დაიუვირა გახარებულმა კიკამ.  
 უვითელფრთება ჩაიძალა ევაგილებში და ბავშებს დაუძახა:

— ჰატარებო, კენაცვალეთ! მე ახლა გავიღვიძე. ჯერ  
 მხეხე არ გავძობარვარ, მინდვრებში არ მიფრენია, ევაგილე-  
 ბის სურნელებით არ დავმტკბარვარ. წადით ცოტა ქვე-  
 ვით, ჭრელ-ჭრელას ნახავთ და დაიჭირეთ, ის ჩემზე ლამაზია.

ბავშვები წავიდნენ. ნახეს ჭრელ-ჭრელა ევაგილებზე თაფლს  
 წუწნიდა მიეძარენ და დაიჭირეს. ჭრელ-ჭრელამ უთხრა:

— ბავშვებო, გამიძვით და ისეთ ლამაზ ჰეპელას გა-  
 სწავლით, რომელიც მთელ მინდორს ხატავს, წითელ-ლენტა  
 ქვია. აი, იქ წევს, სანამ თქვენ მიხვალთ, ისიც გაიღვი-  
 ძებნო.

ბავშვები გაიქცნენ, ნახეს წითელ-ლენტა თეთრ ევაგილებ-  
 ზე ელავდა.

წითელ-ლენტამ უთხრა:

— ბავშვებო, ზაწაწინებო, ნეტავი თქვენსა მხერასა!.. რა  
 ჭრელი ჰერანგები გაცვიათ, რა ლამაზები ხართ, ოქროს  
 თმინებო! მე ახლა გავიღვიძე, ჯერ თავისუფლად არ ამომი-  
 სუნთქავს. დარჩით დღეს ჩემთან; წავიდეთ, გაფურინდეთ, ვა-  
 ხოთ მინდვრები, მთები, ჭალები. იქ ტუის დედოფლები სუფ-  
 რას გაკვიბლიან, ვიცეკვოთ და მოვილხნით.

ბავშვებს მოეწონათ წითელ-ლენტას სიტყვები, გამოუ-  
 რეს ჭრელ-ჭრელას, უვითელ-ფრთებას, დამგობრდნენ ეველანი  
 და წავიდნენ ტუის დედოფლებთან სტუმრად.

გადარიბინეს მინდვრები, ჭალები, ბროლმარგალიტებით  
 მოქარკული კორდები და მაფიდენ ერთ მორაკრაკე რუსთან,  
 დასნდენ და წვალნი დალიეს, რუ ქვიდან-ქვასზე სტოდა და  
 ძღეროდა. ბავშვებმა უთხრეს:

— რუ მორაკრაკე, კვითხარი რამე:

ღამით ვინ ხატავს მენ გულში მთვარეს?

დილით ვინ ძღერის შენს ნაპირებთან,

ტუის დედოფლები მოდიან შენთან?

— ტუის დედოფლები? ახლაც აქ არიან,—სთქვა რუმ  
 რაკნაკით.

— აგერ ენძელა, ვერცხლის სუჭუჭ-თმებ ჩამოშლილი.  
 აგერ დაუვიწვარაც ცისფერ თვალებით, აი, იქ ანწლი კიბ-  
 რისფერ მძივებით. აგერ იები, გულდები, ლურჯი ფერებით  
 სატავენ მდელოს და სხვა მრავალი ევაგილები არიან ტუის  
 დედოფლები. გასაფხულზე მოდიან აქ სტუმრად, ჩემს ნაპირ-  
 ზე ცხოვრობენ და იგრილებენ ფოთლებს მარგალიტის  
 მსეფებით.

— ჩვენ მათთან მოვედით სტუმრად,—სთქვა ჰეჰლებმა  
 ფრთების წკაპა-წკუპით. რუ ახმაურდა და გააკვია ევაგი-  
 ლებს საუბარელი სტუმრების მოსვლა. ევაგილებმა ერთმანეთს  
 გადასძახეს, მოგროვდნ და გამალეს ჭრელი სუფრა.

— მობრძანდით, მობრძანდით!..—მხიარული კისკისით  
 მიიპატივეს სტუმრები.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?—ჰკითხა ევითელ ჰეჰლას  
 ენძელამ.

— მე ევითელ-ფრთება მქვია.—შენ?

— მე ენძელა.

— ძალიან კარგი. მე დღეს შენთან დავრჩები. ძალიან  
 მომწონს შენი სუჭუჭები.

— შენ ვინ-და ხარ?—ჰკითხა დაუვიწვარამ ჭრელ ჰე-  
 ჰლას.

— მე ჭრელ-ჭრულას მეძახიან... რა ლამაზი თვალები  
 გაქვს. მე შენთან ვოფნა მინდა.

— დარჩი, — მხიარულად უპასუხა დაუვიწვარამ.

— შენი სახელი? — ჰკითხა იამ წითელ ჰეჰლას.

— ჩემი სახელი წითელ-ღენტა, — შენ რა გქვია?

— მე, ია.

— ია... გამიგონია სადღაც შენი ქება. მართლაც საქები უოფილხან: ლურჯი თვალები, ღია გული და მძვენიერი სურნელება... იას გაეხარდა. სტუმარი მიიწატიჯა.

კიკა და სარა მივიდნენ ანწლთან, დაათვალიერეს და დაიწვეს ჩურჩული. ანწლმა შესძახა მათ:

— ვინ ხართ თქვენ, ჭრელ ჰერანგიანებო? რისთვის მოსულხართ?

— ჩვენ სტუმრად მოვედით.

— ჭოო, თუ სტუმრად მოდით მასწინძობა შეგვიძლია.

სუფრა გაძლილი იყო. მიუსხდნენ და დაიწვეს ნადიმი სიმღერა, ცეკვა...

მოსაღამურდა. ბავშვებმა მიისედ-მოისედეეს, ჰეპლები აღარსად სჩანდნენ. მწვანე ფოთლებში ჩაიმაღნენ და დაიძინეს.

ბავშვები დაღონდნენ.

შინ დაბრუნების დრო იყო. ევაჯილები სტუმრების გამოსათხოვრად მიემზადნენ.

— არა, არ გეთხოვებით, თქვენ ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ.

— როგორ?! — გაკვირვებით წამოიმახეს ევაჯილებმა.

— ისე, — უთხრეს ბავშვებმა.

დაუვიწყარას ააკანკალა.

ენძელამ თვალები მილულა.

იამ ცრემლები გადმოლვარა.

— მშვიდობით საუკვარელო მანდვრებო, ძვირფასო კორდებო, მოჭიკჭიკე ჩიტუნებო, პოლივლივე ნაკადულებო!! მშვიდობით, — ერთხმად ამოიკუნესა ევაჯილებმა.

ანწლი ამ დროს შედიდურად იეურებოდა.

— ჩემთან ვინ მობედავს, ფიქრობდა ის. — ეველამ იცის რომ მე მწარე ვარ.

ბავშვებმა ბოლოს წაავლეს ხელი ანწლსაც.

— ჩემთან რა კინდათ?.. ვაიკვირვა ანწლმა, — მე მწარე ვარ, და თუ მომწუვეტ უფრო გაემწარდები...


— არა კიბავს! — გადინარხარეს კიკამ და ხარამ, — მენგან მელანს გაუაკეთებთ და დღევანდელ ჩვენს მოვსაურობას ავსწერთ. — მოსწვევითეს ანწლიც და გამხიარულებული წავიდუნ შინისკენ. მეორე დილით ბავშვებმა რომ კაიღვიძეს, ევაკილების ცრემლები ისევ ციმციმებდენ მდუღოზე მერე ის ცრემლები მზის სხივებმა ასწურა. ასე დასრულდა ეს ამბავი; ტუის დედოფლები დამარცხდენ. — დაათავა ბაბუამ და ჩიბუხზე თუთუნს მოუკიდა.

ბავშვები ისე გაიტაცა კაზაფხულის ჭრელ ამბებმა, რომ ადგილებიდან აღარ იძვროდენ, გარეჯ ისევ თოვდა და ბუნება ღამის ბინდ-ბუნდში ესვეოდა.

მამქრალი.



ბავშვებმა ბოლოს წაავლეს ხელი ანწლსაც. — ჩემთან რა კინდათ?.. ვაიკვირვა ანწლმა, — მე მწარე ვარ, და თუ მომწუვეტ უფრო გაემწარდები... — არა კიბავს! — გადინარხარეს კიკამ და ხარამ, — მენგან მელანს გაუაკეთებთ და დღევანდელ ჩვენს მოვსაურობას ავსწერთ. — მოსწვევითეს ანწლიც და გამხიარულებული წავიდუნ შინისკენ. მეორე დილით ბავშვებმა რომ კაიღვიძეს, ევაკილების ცრემლები ისევ ციმციმებდენ მდუღოზე მერე ის ცრემლები მზის სხივებმა ასწურა. ასე დასრულდა ეს ამბავი; ტუის დედოფლები დამარცხდენ. — დაათავა ბაბუამ და ჩიბუხზე თუთუნს მოუკიდა. ბავშვები ისე გაიტაცა კაზაფხულის ჭრელ ამბებმა, რომ ადგილებიდან აღარ იძვროდენ, გარეჯ ისევ თოვდა და ბუნება ღამის ბინდ-ბუნდში ესვეოდა.



## ნეითი წელის თავკადსაკალი

(ზღაპარი)

ოკეანის სიერცყსე, შხის ბრწუნვალე მოციმციმე სხი-  
კებში უამრავი წელის წვეთები თამაშობდენ...

ერთი წვეთი ვეელაზე მეტად ცელქობდა. იგი ცდილობ-  
და დებსე მალლა ამომსტარიუო, ასტეობდა დელფინს ზურგ-  
ზე, დაჭროდა ჰაერში მფრინავ თევზის საშუალებით... მაგ-  
რამ არც ეს კმაროდა მისთვის. მას უნდოდა ღრუბლებთან  
ასულა და იქიდან მიწისა და ზღვის დანახვა. წვეთმა სთხო-  
ვა მზეს, რომ მას შეებრძლებინა ის და მალლა აეუვანა. ნა-  
თელ მზეს მოეწონა ჰაწიას სითამამე და დაუეინებლივ გან-  
მოგზავნა თავისი სსივეები. სსივეები დაეფრქვია ზღვის ზედა-  
პირს, გაათბო წვეთი და გადააქცია უსილაჲ ორთქლად.  
რომელიც სულ მალლა, მალლა ცისაკენ აემვა. ზვენს  
წვეთს რომ არ მოსწეუნოდა მართო მკზავრობა, სსივებმა სხვა  
წვეთებიც—მისი დები, აუძულეს მასთან ერთად მალლა  
წასულიევენ.

სწრაფად მიაქროლებდა ქარი წვეთებს მალლა, მალლა  
ზღვის სიერცყსე. რამოდენიმე საათში გაიარეს ათასი ვერსი.

ისე მხიარულად, სიამოვნებით მიჰქროდენ, ფრინველზე სწრაფად მიჰქროდენ შორს, შორს!

როგორ განცვიფრდა ჩვენი წვეთი, როდესაც დაინახა ქვევით, ზღვის მაგივრად ტყე, ველი, ქალაქები და სოფლები! ეველაფერი მისთვის ახალი იყო: ის ვერ ძღებოდა მიწის ცქერით.

წვეთი ისე გაიტაცა უნახავმა ქვეყანამ, რომ ვერც კი შეამჩნია მზის ჩასვლა. დადგა ღამე. აცივდა. ნეტავი სად უნდა ეპოვა მას თავშესაფარი? გადისწვეთა მიწისაკენ დაშვება უვაილებთან, რომელნიც, თითქოს დიმილით, იწვევდნენ თავისკენ.

ჩუმად ჩამოეშვა წვეთი მიწაზე და უნიღავ ორთქლიდან სილული წვეთი გაჩნდა. ნახევრად გაშლილმა იასამანმა მიიღო იგი და დაასვენა უვაილის ფურცელზე. როდესაც ინათა, ჩვენი წვეთი უახსადი, მხიარული ადგა სურნელსაწოდებანი და ფურცლის კიდეზე მოექცა, როცა მზე წელს ამოცურდა ნათელ ცაზე, ჰაწიამ იასამანს დილა-მშვიდობისა უსურვა და მხიარულად დაუვირა:

— „მზევ, საუკარელო მზევ, ამიუვანე ისევ ძაღლა!! — სთქვა ეს თუ არა, სხივებმა ისევ უნიღავ ორთქლად აქციეს, და იგი ისევ დაჰქროდა თავზე მღელთს, მოებს, ქალაქებსა და სოფლებს.

ცხელი და ბემსუთველი დღე დადგა. ჩვენ ცელქ წვეთს მოუნდა ისევ მიწაზე ჩამოშვება და მუდარით სთხოვა მზეს:

— „გამიშვი, მზეო, მიწაზე, ჩემს დედანთან—ზღვაში“

ვერც კი მოაწსრო ამის თქმა, რომ ათი-ათასი წრიპინა ხმები მოესმა გარშემო; ხმები ვვიროდენ იმასვე, რასაც ვვიროდა იგი. ეს მისი ღები იუვენ. რომლებიც მასთან ერთად ზღვაში დასცურავდნენ. მზემ გადმოხედა მოწულებების თვალთ ჰაწიებს და მიიძალა. ჰაწიებს შესცივდათ, შეგროვდნენ ერთად

დაიქცენ ღრუბლად. ბურუსში დები ერთმანეთს ეკვროდნენ, ეშინოდათ რადგანაც არ იცოდნენ რა მოელოდათ, მაგრამ ისინი ისევ სილულ წვეთებად იქცენ და მიწაზე ჩამოფრინდნენ.

უჟ! რა სმაურობა იყო, როდესაც ჰაწია წვეთი მიწაზე გაჩნდა! ადამიანებმა კი მხოლოდ სთქვეს: „წვიმა მოვიდაო“.

ჩვენი წვეთი დიდ ქვას მოხვდა, მაგრამ ამას არავითარი ზიანი არ მიუყენებია მისთვის. ცოცხლად და მხიარულად გადმოხტა იგი დიდ ქვიდან და თავის დებს შეუერთდა. იმდენი იყვნენ, რომ შეერთებული წვეთები ტუის უხარმაზარ ნაკადულად იქცენ.

მიწოდანაკადული, მიჭქროდა წვეთიც სულ შორს, შორს. ამ დროს მოვიდა დედაკაცი თუნგით ხელში და ნაკადულიდან წვალი ამოიღო; სწორედ ამ თუნგში მოჭევა ჩვენი წვეთიც. ამ წვლით დანამა მინდორში გაკიდული თეთრეული; მხემ გაათბო თეთრეული და წვეთი ისევ უხილავ ორთქლად იქცა და ქარი ისევ დააქროლებდა მას სივრცეში.

ბევრი იმოგზაურა წვეთმა და ბოლოს მხემ გადასწვევითა მისი დასვენება და დამშვიდება.


ქარმა გაიტაცა ჩვენი წვეთი სულ შორს, შორს, ადმოსავლეთისკენ. იფრინა მან, იფრინა და თეთრ მიდამოს მოექცა თავზე. იმ დროს ზამთარი იყო იქ, და უველაფერი თოვლით დაფარულიყო.

შესცივდა წვეთს, ისე შესცივდა, რომ იგი გაიყინა. კიდევ ცოტა და მშვენიერი ცვლილება მოხდა: იგი გათეთრდა, გაბრწყინდა; საუცხოვო, მსუბუქ და ნაზ ვერცხლისფერ ვარსკვლავად იქცა. ასე ათასი ვარსკვლავი ცვლილებით, ტრიანლით და თამაშით ჩამოეშვა მასთან ერთად ქვევით. ხალხმა სთქვა: „თოვლი მოვიდა“-ო.

ჩვენი ჰაწია მგზაური დიდ ტრიალი მინდორზე დაეცა. რბილ საბნად გადაეფარა თეთრი მბრწყინავი ვარსკვლავი-



ბიშინდვრებს, რომელიც მინდვრის მცენარეულობის ფესვებს სი-  
 ცივისაგან იცაფდა. დაჭ-  
 ქროლასასტიკმა ქარმა, და  
 მის სიმდერაში მაგარ, ღრმა  
 ძილით დაეძინა ჩვენს  
 წვეთს. მზე ნათელი, მაგ-  
 რამ ცივი სხივებით ანა-  
 თებდა მშინარე ზაწიებს,  
 იზინი კი, ისეთივე მშვე-  
 ნიერნი იუვენ, მვირფას  
 ქვებივით ბრწინავდენ.



თიქმის ნახევარი წელიწადი დაჭუო წვეთმა ამ მდგო-  
 მარობაში, მაგრამ მზემ თანდათან აიწია მხელა ცა-  
 ში და დღეები დაგრძელდა. დაჭქროლა გაზაფხულის  
 თბილმა სიომ.

— ადექით, თქვენ მშინარებო და მოემზადეთ სამკზავ-  
 როდ! — უთხრა მზემ მოვერცხლილ თოვლის ფიფქებს.

ამუშავდენ თოვლის ფიფქები და გამთბარნი, ისევ  
 წვეთებად იქცენ. წვეთები შეერთდენ და მხიარული ჟრიაძე-  
 ლით დაეშვენ ქვევით, ნაპრალებისკენ ხევში. გზაში უფრო  
 ხმაურობით და ჩხრიალით შეხედენ მას მღვრიე ნაკადის ათი  
 ათასი წვეთები,

— გამარჯვებათ, დებო! გავიქცეთ ერთად! — შესძახეს წვე-  
 თებმა და შეუერთდენ ნაკადს.

ყოველი ხვეიდან უერთდებოდენ მათ ახალ-ახალი წვე-  
 თები და ნაკადული სულ დიდდებოდა და დიდდებოდა,  
 ზატარა მოცეკვავეთა ჯარს ემეტებოდა და ემეტებოდა.  
 უცებ მათ წინ დიდი ფართე მდინარე გამოჩნდა. ჩვენმა  
 წვეთმა ზირველმა ჩაირბინა მივ და დაეშვა ტუესა და მინდვრებს

შუა, ქალაქებსა და სოფლების კუკრდით. დედამიწა თვალს მიუფარა, უსარმაზარი მარილიანი ტბალები შეეკებენ მდინარის ზაწია ტბალებს. მსიარული ჟრიაბულით შესვდა ზღვა თავის ღვიძლ ძვილებს. ჩვენი ზაწია წვეთი ისევ შინ გაჩნდა, ბევრი საინტერესო ამბავი მოუტანა და უამბო მან თავის ღებს.

დანი.

## საქართველო




უმც ბავში ვარ, მაგრამ მკერდში  
კაბედულად მიძვერს გული,  
და მუც ვიცი როგორ უნდა  
ჩემი ქვეყნის სიყვარული.

მხიბლავს ჭრელი ვეზვილები,  
ძალხენს ძთები, მწვანე მდელო,  
გულით მიუვარს ჩემი კოხტა  
და ლამაზი საქართველო.

მსურს, როდესაც კავიზრდები  
გავხდე კაცი სასახელო,  
ღირსეულ ძვილს შეძასო დეს  
მე მშრომელი საქართველო.

საფო შგელაძე.





# გემზე



ამთარი იყო, თოვლი ისე იბარდნებოდა, რომ ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა, თითქოს ბამბით იყო დაფენილი. გემის უფროსი მთელი დღე და ღამე თავის ბაქანზე იდგა და ზღვის სივრცეს გაპყურებდა, რომ გემს ან ნავს არ დაჯახებოდა. ნავთსადგურამდე რომ მიალწია, სრული ორი საათი თოვლს ახვეტივებდა

და, რა გემი მოწმენდილი ნახა, დაღლილი და დაქანცული დასასვენებლად თავის სენაკისაკენ გაბრუნდა. წარმოდგენილი გაქვთ, რარიგ გაკვირვებული იქნებოდა გემის უფროსი, როდესაც თავის კარებთან ბავში და დიდი ძაღლი დაინახა; ბავში მოკუნტულიყო. ეძინა და სიცივისაგან ძილშიც კი კანკალებდა.

— შენ აქ რა გინდა?— შეჰყვირა გემის უფროსმა — აქ საიდან გაჩნდი? ვინ მოგცა ნება? ახლა კი ვიცი, ვინ არი ჩემი ქურდი! ისე არ მოვალ ამ ნავთსადგურში, რომ არ გამქურდონ! — და ბიქს ხელი სტაცა.

— მე ქურდი არა ვარ... — აკანკალებული ხმით წაილულულულა ბიქმა. — შაპატიეთ... დილიდან თოვლი მოდიოდა... გავიყინე და აქ შემოვედი, რომ ცოტათი მაინც გავმთბარიყავ. გემის უფროსი ძალიან განრისხებული იყო. მართლაც, ამ

ნავთსადგურში გემის უფროსის ოთახიდან ყოველთვის იპარავდნენ რასმე.

— მე შენ გასწავლი ქურდობას! რა გქვიან?

— ნიკო...

— თუკი გციოდა, აქ რაღასთვის მოდიოდი? შინ ვერ წახველი?

— მე სახლი აღარა მაქვს... ობოლი ვარ... აქამდე ბებია სოფიოსთან ვცხოვრობდი, მაქმევდა, მასმევდა, ისე ვუყვარდი, როგორც დიძლი შვილიშვილი, მაგრამ ამ სამი დღის წინად გარდაიცვალა. გუშინ ჩამოვიდა მისი ქალი თავის ქმრით, ყველაფერი წაიღეს და მე სახლიდან გამომაგდეს; მთელი ღამე ქუჩაში გავატარე, არ მძინებია, გავიყინე და აი... აქ მოვედი.

ბიჭი ისე გულწრფელად ლაპარაკობდა, რომ გემის უფროსს ეჭვი სრულიად გაუქარწყლა. განა ქურდი შესძლებს ასე გულწრფელად ლაპარაკს? გემის უფროსმა წარბები შეიკმუხნა და პატარა ღუმილის შემდეგ უთხრა:

— კარგი, დარჩი. ოღონდ შენი ძაღლიკი აქედან უნდა გააგდო. ძაღლს აქ ადგილი არ აქვს, გაეთრიე, ძაღლო, გაეთრიე!

— მაშე ორივენი წავალთ, — მორჩილად უპასუხა ნიკომ. გემის უფროსმა ძაღლსაც გადახედა. ძაღლი პირდაპირ თვალეში შესცქეროდა და თითქო ვევედრებოდა, ეს სიტბო არ მომაკლოო. ორივენი შეეცოდა.

— აგრე იყოს! — ჩაიქნია მან ხელი, — ვეგეც დარჩეს. ოღონდ, იცოდე, თუ შემაწუხა, კუდზე მოვაველებ ხელს და პირდაპირ წყალში გადავაგდებ! — სთქვა მან და თავის სენაკში შევიდა, ნიკო და ძაღლი კი იქვე დარჩნენ და კიდევ დიდხანს შესცქეროდნენ მის სენაკის კარს.

— დაწექი, მურა! — უთხრა ნიკომ.

ძაღლი დაწვა, ნიკო მის ზურგს მიეკრა და ორივეს დაეძინა.

გემის წასვლის დრო დადგა. საორთქლე ქვაბები აშიშინდნენ, საკომპურიდან შავი კვამლი ამოვარდა. უკვე დილა იყო. დასვენებული გემის უფროსი თავის ადგილას იდგა გემბანზე და ბრძანებას აძლევდა. ზარი დარეკეს, მერმე სამჯერ საყვირის ხმა გაისმა, გემი ნაპირს გაშორდა და მალე შუა ზღვაში გავიდა.

ამ დამეს გემის უფროსის სენაკიდან არა დაკარგულა რა. გემის უფროსი ამით ძალიან კმაყოფილი იყო და თვალეებით სულ ნიკოს დაეძებდა, მაგრამ ნიკო არსადა ჩანდა. „რა ამბავია?

ნეტავი რა იქნა? ბოლოს ქვევით იბოვნა, მანქანის გვერდით, სადაც ისე ცხელოდა, რომ აღამიანს სუნთქვაც კი უძნელდებოდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნიკო მემანქანეს შველოდა: სწმენდდა, ფხვდა და დაბნეულ ნახშირს აგროვებდა. მთლად გატაცებული იყო თავის საქმით.

— შენ მანდ რას აკეთებ?—დაუყვირა ზევიდან გემის უფროსმა. ვალი ახლავე მანდედან!

ბიჭი შეკრთა და ზეთით გაქლენთილი ჩვარი ხელიდან გაუფარდა.

— ნუ გააგდებთ, ბატონო!—გამოესარჩლა ნიკოს მემანქანე—ძალიან კარგადა მშველის. აქ იყოს ჯერჯერობით.

გემის უფროსი დაფიქრდა.

— კაი აზრია, —უბასუხა ზევიდან, —დარჩეს, თუკი და გეხმარება, ძალღი სადღაა?

— აქ გახლავთ, ქვაბთან თბება!

გემის უფროსი გაბრუნდა.

14—15. საათის შემდეგ ნაპირს მიუახლოვდნენ. მგზავრებმა ფუსფუსი დაიწყეს, აჩქარდნენ; გაისმა მუშების და მეტელების ყვირილი და ნავსადგურთან მდგომი ტრამვაის ხარბები ყველანი ქალაქში მიდიოდნენ და იცოდნენ კიდევ, სად და რისთვის მიდიოდნენ, მხოლოდ ნიკომ არ იცოდა საით წასულიყო, ან რა გაეკეთებია, ყველასთვის უცხო იყო და ეს გარემოება მეტად აშინებდა. რა მოეღის გემის უფროსმა რომ ნაპირზე დასტოვოს, ან ძაღლის გაგდება უბრძანოს? საითღა წავლენ? ძაღლის გვერდით იდგა საცოდავი ბიჭი გემბანზე და მწუხარებით აქეთ, —იქით გაიყურებოდა. ძაღლიც თვალეში შესცქეროდა და—თითქო ეკითხებოდა კიდევ—საით წავალთ ან რა მოგველისო?

თოვლი ისევ მოდიოდა და ნიკოს პირისახესა და ხელებზე დნებოდა. დიდხანს იდგა კიდევ გემბანზე, სანამ გემი მთლად არ დაცალიერდა. გემის უფროსი და მოსამსახურენი ყველანი საღლაც წავიდნენ, მაგრამ დაბრუნდნენ და ახლა თავ-თავიანთ სენაკებში ისხდნენ და მუშაობისაგან და მგზავრობისაგან დაღლილნი ისვენებდნენ. ნიკოსათვის და მის ძაღლისთვის არავის ყურადღება არ მიუქცევია.

ამასობაში ქარბუქი ამოვარდა; საშინლად ციოდა, თოვლის კორიანტელი დაჰქროდა და ერთი არშინის მანძილზე ვერაფერს დაინახავდით. მოსალოდნელი იყო, რომ გემი ღამე

აქვე დარჩებოდა. საღამო დადგა. დიდი ხანია წასვლის დროც გავიდა, გემი კი ნავსადგურიდან არ იხსნებოდა და იმავე ადგილას იდგა. მოვიდა ვილაც მგზავრი, მიიხედ-მოიხედა და უკანვე წავიდა.

— დღეს გემი არ წავა, — მოესმა ნიკოს მეზღვაურის ხმა, — ისეთი ქარი ჰქრის, რომ ზღვაში გასვლა შეუძლებელია.

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც გემის უფროსი თავის ოთახიდან გამოვიდა და გემი დაიარა.

— შენ კიდევ აქა ხარ? — მიუბრუნდა ნიკოს, რომელიც კვლავ გემბანზე იდგა, — მე კი აფეგონა, რომ მანქანასთან თბები. განა არა გცივა? აქ რისთვის დგებარ?

— თქვენ გელიოდით... — მოკრძალებით მიუგო ნიკომ, — არ ვიცი, საით წავიდე!

— ამ ღამეს აქ გაატარებ! — უპასუხა გემის უფროსმა.

— ჩემი მურა?

— კარგი, მურაც დარჩეს... ოღონდ ხვალ კი შენი მურა ნაპირზე უნდა დასტოვო, მაგრამ ხვალ ვნახოთ, ახლა კი ჩემ სენაკთან წადი და იქ მოეწყე კარებთან. დღეს ქალაქში უნდა წავიდე, ისე რომ ამ ღამეს იქ გავატარებ ნათესაებთან. ხელს არავინ გახლებს, ხალიჩაზე დაწეკი, თავ-ქვეშ ჩემი ძველი წამოსასხამი ამოიღე და დაიძინე.

ამ სიტყვებით ნიკოს გასცილდა, მაგრამ მაშინვე უკან დაბრუნდა, დაატკერდა და ჰკითხა:

— დაიძინე კიდევ?

— არა, — უპასუხა ნიკომ და მოწიწებით წინ გამოეჭიმა. გემის უფროსი რაღასაც ფიქრობდა, და ბოლოს წარმოსთქვა:

— არ ვიცი რათა, მაგრამ სანდო ბიჭად მეჩვენები. ამ ნავსადგურში ვილაც ქურდი შემოგვეჩვია, ჩემი მეზღვაურებისაც კი აღარა მჯერა. შესაძლებელია, რომ ვინმე მათგანი ერიოს ამ საქმეში. თუ მართლა კარგი ბიჭი ხარ, აქ იწოდები და, თუ მოხდა რამე, მსახურს ან მეშანქანეს დაუძახებ. ყოველ შემთხვევაში შენი იმედი მაქვს, და მგონი არც ვცდები, — სთქვა მან. თავზე ქული ჩამოიფხატა და ნაპირისკენ გასწია. გარშემო ქარბუქი ტრიალებდა და ორი წუთის შემდეგ გემის უფროსი წყვლიაღმა შთანთქა. აქა-იქ ნაპირზე სინათლე მოჩანდა, ზღვა დელავდა და გემსართავში ქარს გრიალი გაჰქონდა. ნიკომ ცოტა ხანი კიდევ დაჰყო გემბანზე, მერმე კი ქვევით ჩავიდა, გე-

მის უფროსის სენაკის კართან ხალიჩაზე დაწვა და მალე მაგრადა დაიძინა. ძალლი გვერდით მოუწვა და თავისი ზურგით ათბობდა მძინარე ბიჭს.

მანქანა ჩაქრა და მთელი გემი თითქოს რაღაც ღრმა, ჯადოსნურმა ძილმა მოიცვა.

უეცრად ნიკოს ძაღლის მრისხანე ღრინვა მოესმა, წამოვარდა და თვალები მოიფშვნიტა. პირველად ვერც კი მოისახრა სად იმყოფებოდა, ეგონა, რომ ძაღლის ღრინვა ძილში მოვლანდა.

— ჩუმად, მურა! ძაღლმა ამაზე მხოლოდ ღრენით უბასუხა. ნიკომ გამოიღვიძა. მას რაღაც საეჭვო შრიალი მოესმა. ყური დაუგდო და ცხადად გააჩნია ვილასიც ჩუმი ნაბიჯი.

ვილაც იყო, დერეფანში დადიოდა, კედელზე ხელს აფათურებდა და, ეტყობოდა ბნელაში გემის უფროსის სენაკის კარს ეძებდა.

ნიკომ ნელ-ნელა დერეფნის კარი ჩუმად გააღო და ბნელაში ვილაც კაცი დაინახა. ხელში ჯიბის სანათი ეჭირა. ექვს გარეშე იყო, რომ გემზე ქურდი ამოპარულიყო.

— შენ აქ რა გინდა? შეჰყვირა ნიკომ.

მოულოდნელობისაგან ქურდი შეკრთა და უკახ დაიწია. თავის სანათი მარდად ჩააქრო და გასასვლელ კარს დაუწყყო ძებნა.

— შენ აქ რა გინდა? ვინა ხარ? კვლავ უშიშოდ ეკითხებოდა ნიკო. ქურდი გამობრუნდა, მიუახლოვდა, მხარზე ხელი მოავლო და გაბრაზებით ჩასჩრაჩულა:

— გაჩუმდი! კრინტი არ დასძრა, თორემ ვაი შენი ბრალი!

— მთელს გემს ფეხზე დაეყენებ! შეჰყვირა ნიკომ. — ქურდი ხარ! გინდა გაქურდო ჩემი უფროსი!

— გაჩუმდი მეთქი! ხმა არ ამოიღო, თორემ რწყილსავით გაგსრეს! უთხრა და მუშტი მოუღერა.

— დაიჭი, მურა! შეჰყვირა ნიკომ და უკან დაიწია.

ძაღლი თითქოს ამ ბრძანებას მოელოდა, გაშმაგებული ყფით მივარდა ქურდს და იატაკზე წააქცია. ქურდი შეებრძოლა; ორივენი იატაკზე ეყარნ და მხოლოდ ძაღლის ღრინა და უცნობის კენესა-ლა მოისმოდა.

ამასობაში ნიკო გეშხანზე ავარდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვირილი დაიწყო:

— წავიდე? მიუბრუნდა ნიკო გემის უფროსს და თავისი ბარგი ხელში აიღო. — გემი ხომ ახლავე მოიხსნება ნავსადგურიდან.

გემის უფროსმა ხელი მოჰკიდა და აღერსიანად უბასუხა: — არა, შენ აქ დარჩები, ჩემთან, და სამაგალითო მეზღვაურად გაგხდი!

ნიკოს სახე გაუბრწყინდა.

— მურას რაღა ვუყო? ნუთუ ნაპირას უნდა დავტოვო? გემის უფროსი დაფიქრდა ცოტათი, მერმე გაიღიმა, ძაღლის ხელი გადაუსვა და წამოიძახა:

— როგორ, ეს ძაღლი გავაგდოთ? უკაცრავად, სად გავიგონია ამისთანა ძაღლის გაგდება!

დარჩა ნიკო გემზე, მეზღვაურობას ეჩვეოდა და ერთი ქალაქიდან მეორეში დაცურავდა.

8. 8 - 6ი.

## აღექსის სიმინდი



ადგა თებერვალი თბილი, მზიანი დარი იყო. სოფელში გახურებული მუშაობა იყო. აკეთებდნენ ღობეებს და მიწებს სწავდნენ სიმინდის დასათესად. მოვიდა ჰატარა აღექსი და მითხრა:

— შამილო, მეც მინდა დავაძინადო მიწა და სიმინდი მოვიუყვანო, მანვენე ჰატარა ადგილი ჩემი ვანისათვის.

აღექსის თხოვნა შევასრულე. ვაჩვენე მიწა ბოსტნის კუთხეში და ავუხსენი როგორ უნდა მიწას დამზადება, და სიმინდს მოეყვანა.

აღექსიმ სიმინდის ვეკლა ჟიშებიდან ამოარჩია „ილინოისის თეთრი ცხენის კბილი“. ამ ჟიშიდან ამოარჩია საუ-

კეთესო, კარგი და ხწორ მარცვლიანი ტაროები. ამ ამორჩეულ ტაროების დერო კარგი მარცვლებით იყო სავსე. ალექსიმ ჩამოამორა ტაროს ერთი მეოთხედი მარცვლები ქვევით და სვევით, ასე რომ შუა ტაროში ნახევრამდე დარჩა სიმინდის მარცვლები. ეს საუკეთესო ხარისხის მარცვლები იყო და სათესლედ შეინახა. დანარჩენი მარცვლები კი ბებიას გადასცა ქათმების საჭმელად. მერმე ალექსი შეუდგა სიმინდისთვის მიწის ნიადაგის დამზადებას. ჯერ ღრმად დაბარა და როცა მიწა დარბილდა—დათოსნა.

დადგა გაზაფხული. ბუნებამ გაიღვიძა. მინდორ-ველი აუვაკვდა. სეხილები უვაკილებით დაიბურა, მოისმა გამრჯული ფუტკრების ბზუილი—თაფლს აკროვებდენ უვაკილებიდან. აწრილი მოვიდა. სიცივეს და უინვას უკვე აღარ ველოდით. დედაკაცები ბოსტნეულობის თესვას შეუდგენ. უფრო ბეჯითმა და შუებით გლეხებმა სიმინდის თესვა დაიწვეს.

ალექსიმ კიდევ დაბარა თავისი მიწა, დათოსნა და დაფარცხა; გაიყვანა კვალთა ერთი-მეორედან თითო ადლის სიმორეზე. კვალში ერთი-მეორეზე, 4 გოჯის მანძილზე, რიგზე ჩააბნია სიმინდის მარცვლები და სუდ მიწა მიაუბრა. გავიდა დრო, ამოვიდა სიმინდი. როცა სიმინდს სამი-ოთხი ფოთოლი ამოუვიდა, ალექსიმ გამარჯლა და ბალახი ჩამოამორა. სიმინდი გაიზარდა, მაგრამ ჰატარა ეხანაში ნორჩი ბალახი ამოვიდა. ალექსიმ კიდევ გათოსნა სიმინდი და მიწს მიწა შემოაუბრა. სიმინდისათვის ეს სასარგებლო იყო და სვევით დამატებითი ფესვები ამოიღო და ტანი აჭყარა.

ავვისტოში სიმინდი აუვაკვდა, კატარი ამოიღო, ძალე ფონიანი ტაროც გაიკეთა. სექტემბრის დამლევს სიმინდის მარცვლები დამწიფდა და ალექსიმ მისი მოტეხა დაიწყო. ჯერ კარგად გაზრდილი, სადი სიმინდის კარგი ტაროები ამოარჩია. როცა მოტეხა ეს ტაროები, ჩამოამორა მას ფუ-

ჩენი და გაასუფთავა. შერბე საუკეთესო მარცვლიანი ტაროუ-  
ბი ამოარჩია და სათესლედ შეინახა. დანარჩენი სიმინდი  
გაასუფთავა და სასიმინდეში შეინახა. როცა მარცვლები გახ-  
მა, ჩამოაშორა ღეროს, დაფშენა და წისქვილში დაფქვა. ფქვი-  
ლი მოიტანა ალექსის დედამ და ვეკლიანი კვერები გამოუსწო  
ალექსის. ალექსიმ ეს კვერები ვეკლას დაუნაწილა: დედას,  
მამას, ბებიას და დებს. მოიგონეს როგორ დათესა ალექ-  
სიმ და მოიყვანა სიმინდი.

ვეკლა ალექსის აქებდა. ალექსი დიდი კმაყოფილი იყო  
თავის ნამუშევრით. დედას და მამასაც უხაროდათ.

პატარა შკითხვებო! მოიგონეთ და მიხასუსეთ შემდეგ,  
კითხვებზე:

1. კარგი სიმინდის მოსავალი გქონდათ თქვენ?
2. კარგი თუ ავი დარი იყო სიმინდისთვის თქვენში?
3. რამდენი ტარო ესხა თითო სიმინდის ღეროს?
4. ერთი მხრით იხსამს სიმინდი ტაროებს თუ ორი-  
ვე მხრით?
5. რა და რა ჯიშის სიმინდი იცით?
6. აღწერეთ სიმინდის ტარო ამ რიგად: კარგობა  
ან ანაგი, ფერი მარცვლისა, ტაროზე მარცვლის რიგების  
რაოდენობა, მარცვლების რაოდენობა ერთ რიგში. სიგრძე  
ტაროსი. რიგები იკარგება ტაროს ბოლოში თუ არა? თუ  
იკარგება—რამდენი?
7. გასჭერთ ნედლი და შემწვარი სიმინდის მარცვალი  
და მისი აკებულება შეადარეთ ერთმანეთს.
8. რა და რას აკეთებენ სიმინდის მარცვლებიდან?
9. რისთვის ხმარობენ სიმინდის ღეროს, ფოთლებს  
და ფუნჯებს?
10. რამდენი ფუთი გაფშენილი სიმინდი მოდის ერთ  
ქცევა, ანუ დღიურ მიწაზე?

11. შეუძლია თუ არა სიმინდს დათესოს თავისი მარცვლები კაცის დაუნძარებლად.

12. როგორ კრეფენ სიმინდის მოსავალს?

13. როგორ სთესავენ და მოჭევათ თქვენში სიმინდი, მკვლევარად თუ ახალი წესით?

14. შემოდგომაზე ხნავენ თუ არა მიწა-ნიადაგს სიმინდისათვის?

15. რამდენჯერ ხნავენ და ფარცხავენ მიწა-ნიადაგს სიმინდის დათესვის წინ?

16. რით ხნავენ მიწა-ნიადაგს, გუთნით თუ კავით?

17. სათესავი მანქანით თესავენ თუ ხელით?

18. სათოხნი მანქანით თოხნიან სიმინდს თუ თოხნით?

19. არჩევენ კარგი მარცვლიანი სიმინდის ტაროებს სათესლედ თუ არა?

ვევლას ამის ზასუსი დასწერეთ და მიეცით მასწავლებელს ან გამომგზავნეთ რედაქციაში მია ტარასისთვის.

თუ იცით ხატვა, დახატეთ სიმინდი მთლად (ღერო, ფოთლები, ტარო, ევაილები და ფესვები) დახატეთ სხვადასხვა ჯიშის სიმინდის მარცვლები, გატყესთ შუაში სიმინდის ტარო და დახატეთ გატყესილი ადგილი ისე რომ, ნახატში ვნახოთ განივი ჭრილი (გატყესილი) და შედარებითი სიდიდე ღერო და მარცვლებისა.

მომავალ წლისთვის, წრეულს თუ ვერ მოახწარით, სთხოვეთ ზატარა მიწა მამას, ან დედას და ბოსტნის ერთ კუთხეში დათესეთ სიმინდი. როგორ უნდა დათესვა და მოვლა სიმინდს, კითხეთ მასწავლებელს, ან თქვენი რაიონის აგრონომ-ინსტრუქტორს. დაუკვირდით, როგორ იზრდება სიმინდი.

ზაწია მეკობრეობ! ვევლაფერი, რაც დაგაინტერესებს, თქვენ მცენარეების ან შინაური საქონლის მოვლა-მოშენებაში, წერით მკითხეთ მე და დიდის სიამოვნებით გიპასუხებო.



**თ ა მ ა უ რ ბ ა**

წარმოდგენილი ს. გოგლიჩიძისაგან.

ბრმა თერძი


ორ ხეს შუა გააბით თოკი. ამ თოკზე აგერ ეგერ 4 ვერ-  
შოკის დაშორებით, ძაფზე ჩამოკიდეთ რაიმე პატარა საგნები:  
კენჭები, ნაფოტები და სხვა. ეს ნივთები უნდა ეკიდოს ბავ-  
შების სიმაღლეზე. ამ თოკიდან გაზომეთ 5-6 ნაბიჯი, აუხვიეთ  
ერთს ბავშს თვალები (თერძი), მიეცით ხელში შაკრატელი,  
შემოატრიალეთ სამჯერ ალაგზე და დაავალეთ, რომ მივიდეს  
თოკთან და ჩამოსჭრას ძაფი. თუ ეს მან ვერ შეასრულა, სამ-  
ჯერ ცდის შემდეგ, ის უნდა დაჯარიმდეს, ამის შემდეგ მეორე  
და მესამე გაიშეორებს ამას.

დაჯამირება ამნაირად შეიძლება: ასკინკილას ჩამოუვლის,  
ლექსს, ზღაპარს ან გამოცანას იტყვის, ერთს ტყუილს და ერთს  
მართალს გამოიგონებს და ბევრ რამეს კიდევ, რასაც გადა-  
სწყვეტენ ამხანაგები.

**სახლის სამუშაო**

**პატარა ბადე ბურთისათვის**

აიღეთ 12 — 14 მომსხო დაგრებილი ფერადი შალის ძაფი,  
დაახლოვებით 1/2 მეტრის სიგრძე.



ეს ძაფები შუაზე გადაკეცეთ და ცალ ცალკე გამონასკვით  
ისე, რომ ორი თითის სივანე ყულფი მიიღოთ.

ამ ყულფებით ეს ძაფები ცალცალკე დაამაგრეთ რამეზე, ან და გაუყარეთ ფანქარი. ამის შემდეგ შეუდექით ქსოვას ამნაირად: აიღეთ მახლობელი ორი ძაფი, შეაერთეთ და გამოსკვენით, მეორე ორი ერთად და ასე ბოლომდე, ეს ნასკვები ერთნაირი მანძილით უნდა იყვნენ ერთმანეთზე დაშორებული. როდესაც ბადის კუნჭული გამოვა იმ ზომის, როგორც თქვენ გსურთ, მაშინ ყველა ბოლოები ძაფებისა ერთად შეჭკარით, მაგრად და, თუ ერთნაირ სიგრძის არიან ეს ძაფები, მიიღებთ ფოჩს და თუ არა, მაკრატლით შეასწორეთ. ყულფებში, რომლებითაც ძაფები მიმაგრებული იყო, გაუყარეთ ზონარი და გამოვა ბურთისა და სხვა პატარა საგნების სატარებელი ბადე. ამნაირადვე შეგიძლიათ მოქსოვოთ სანოვაგის სატარებელი ბადე, მხოლოდ იქ რიცხვი ძაფებისა უფრო მეტი უნდა იქნეს, და ძაფების მაგივრად უნდა იხმაროთ კანათის წმინდა თოკი.

## ს ა რ ო ს ტ ი ს ი

წიგნის ფრთები აეშვა

ქმედებულ ივბზე,

კისკისობდა სიამე

ჯლაქვარდულ მთიებზე.

ღარდ უკუერთ, სალამურს

უკრავს ცელქი, გიჟმაჟი,

ლამაზ აკვანს ურწევენ.

იადონნი, რიჯრბჯით

ზაირა.





**ხ უ მ რ ო ბ ა .**

ერთხელ მამა და შვილი ერთ მეწიგნესთან მივიდნენ და საქართველოს რუკა მოსთხოვეს. შვილმა უთხრა მამას:

— მამა, მე რთული რუკა მჭირდება და სთხოვე, რომ რთული რუკა მოგვცესო. მამამ რთული რუკა მოითხოვა.

როდესაც მეწიგნემ რუკა მოაწოდა, შვილმა, გადაათვალიერა, მაგრამ ქალაქი გორი უცებ ვერ დაინახა და გადასწყვიტა, რომ რთული რუკა არ იყო, და უთხრა მეწიგნეს:

— ეს რთული რუკა არ არის, თორემ ქალაქი გორი როგორ არ იქნება აღნიშნულიო.

— ეგ იმიტომ, — უბასუხა ხუმრობით მეწიგნემ, — რომ გორი ხომ მიწის-ძვრისაგან დაინგრა, ეს თქვენც გაგებული გქონებო.

39-4 შრ. შკთლ. შიშ. აქტბ. „მისწბათყმა“-დან.

ლ. შთიშვილი.

**პირველ №-ში მოთავსებულ გამოცანების ახსნა:**

1. ახირებული კითხვები: ა) თებერვალში. ბ) ერთის.

2. გამოსაცნობი კვადრეტი

თ	ი
3	ა

3. როგორ იდგენ ცხვრები: ერთი ერთმანეთის პირ-დაპირ.

4. სახუმარო ამოცანა: უფრო მეტი ბალახი შეჭმის კუდიანმა ცხენმა, რადგანაც ის კუდით იგერიებდა მუხებს, არ ცდებოდა ჭამას.



განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ-მართველობის სალიტერატურო-სამხატვრო ხეყციის ხელმძღვანელობით გამოცემულ წიგნების სია:

1. „ნაკადული“ 1921 წ. და 1922 წ. №№ თითო წიგ. 25 კ.	
2. „ჯეჯილი“ 1921 წ. 1922. წ. 1923 წ. №№ „ „ 40 „	
3. „ნორჩი ძალა“ — კრებული . . . . . 15 „	
4. „სამი ამბავი“ — შიო მღვიმელისა . . . . . 10 „	
5. „კოკროკინა“ — დ. დონდუასი . . . . . 10 „	
6. „ბელა ბეკევა“ „ „ . . . . . 10 „	
7. „შემოდგომა“ — ფერად-სურათებიანი წიგნი . . . . . 70 „	
8. „დედაბერი, ტურა და მელია კული გძელია“ . . . . . 50 „	
9. „ბავშებს“ — ლექსები გ. ქუჩიშვილისა . . . . . 20 „	
10. „ტყის ზღაპარი“ — მამინ სიბირიაკისა, თარგ. . . . . 20 „	
11. „ტყის სურათები“ — შიო მღვიმელისა . . . . . 25 „	
12. „ქიანქველას საოცარი თავგადასავალი“ . . . . . 30 „	
13. „თავისუფალ ბავშვა სიმღერები“ . . . . . 2 „	
14. „ქართული მოძრავე თამაშობანი“ . . . . . 80 „	
15. „ტროადის ომი“ — აღ. მიქაბერიძისა . . . . . 80 „	
16. „იგავ-არაკნი“ — აღ. მირიანაშვილისა . . . . . 30 „	
17. „საბავშვო პიესათა კრებული“ . . . . . 70 „	
18. „ივანე სულელი“ — ზღაპარი, ლ. ტოლსტოისა . . . . . 15 „	
19. „ლურჯი ფრინველი“ . . . . . 50 „	
20. მოძრავე თამაშობანი, სიმღერებით, — გოგლიჩიძისა . . . . . 1 მ.	
21. ოვიდიუსის მეტამორფოზები, — მიქაბერიძის . . . . . 70 „	
22. „ზამთარი“ — ფერადი სურათებით . . . . . 50 „	
23. „უძველესი დროის ბავშვის თავგადასავალი“ . . . . . 45 „	
24. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“ . . . . . 25 „	
25. „გაზაფხული და ზაფხული“ . . . . . 90 „	
26. „რას გვიამბობს ოჯახი“ . . . . . 20 „	
27. „ზღვის სიმდიდრე“ . . . . . 20 „	